

ციური ახვლედიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი

tsiuriakhvlediani@yahoo.com

საკვანძო სიტყვები: ტელესკოპია, ტელესკოპური ტერმინები, სიტყვა-
წარმოება, სიტყვათა კვეცა, ტელესკოპურ ერთეულთა ტიპოლოგია,
ტელესკოპურ ტერმინთა თარგმანი.

სართედები ფრანგულ ენაში

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მიზანდასახულად ფორმი-
რებული ტერმინოლოგიური ერთეულები, რომლებიც წარმოიშვა ტე-
ლესკოპიის საშუალებით, ანუ ორიდან ერთ-ერთი ტერმინის შეკვეცი-
ლი ფუძისა და მეორე ტერმინის სრული ფუძისაგან შერწყმის შედე-
გად, ან ორივე ამოსავალი ტერმინის შეკვეცილი ფუძეებიდან. ასეთ
ერთეულებს ფრანგულში ეწოდება ტელესკოპური ტერმინები¹. კვლე-
ვის მასალად გამოყენებულია სტატიები ფრანგული პრესიდან და ინ-
ტერნეტრესურსებიდან.

კვლევის აქტუალურობა აიხსნება იმ ფაქტით, რომ ტელესკოპია
წარმოადგენს ფრანგული ენის ტერმინოლოგიური ლექსიკის შევსების
ერთ-ერთ პროდუქტიულ ხერხს და აქედან გამომდინარე, ჩნდება აუ-
ცილებლობა სართედთა წარმოქმნის მოდელების სისტემატიზებისა,
მათი სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურების განხილვისა
და ამ ერთეულთა თარგმნის ხერხების შემოთავაზებისა.

ყველაზე მეტ სიტყვამაწარმოებელ პროდუქტიულობას ფლობენ
შემდეგი ელემენტები: *euro-* (*Europe*), *info-* (*information*), *éco-* (*écologie*),
-ciel (*logiciel*), *-tique* (*informatique*).

სართედთა ფართო გავრცელება, პირველ რიგში, აიხსნება ენის
ზოგადი ტენდენციებით ენობრივ საშუალებათა ეკონომიისაკენ, ინ-

¹ ე.წ. ტელესკოპური ტერმინები შეესატყვისება ქართულ სამეცნიერო
ლიტერატურაში ცნობილ ტერმინ აფიქსოიდს. ამავე საკითხებს ეხება ამ კრებულ-
შივე მოცემული სტატია „აფიქსოიდიან ტერმინთა სტრუქტურული ჯგუფები“.
ღია ქაროსანიძემ შემოგვთავაზა ამ ორი ტერმინის (ტელესკოპური ტერმინი,
აფიქსოიდი) ქართულ შესატყვისად დაგვემკვიდრებინა ტერმინი – სართედი.
წინამდებარე სტატიაში ვითვალისწინებთ ამ რჩევას.

ფორმაციული ტევადობის შენარჩუნებით. სართედებს აქვთ უნარი, რომ მოკლედ გადმოსცენ ახალ, რთულ ცნებათა და რეალიათა აზრები, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოების ცხოვრების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროებში ღრმა ცვლილებების შედეგად.

ევროპულმა ინტეგრაციამ და ევროკავშირის შექმნამ ენაში შემოიტანა მრავალი ახალი ტერმინოლოგიური წარმონაქმნი, მაგალითად: *eurodéputé* – ევროპარლამენტის დეპუტატი, *europhobie* – ევროფობია, *europhilie* – პროევროპეიზმი, *euroscepticisme* – ევროსკეპტიციზმი, *eurocentrisme* – ევროცენტრიზმი, *eurofédéralisme* – ევროპული ფედერალიზმი.

ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარებამ გამოიწვია ახალ ტერმინთა წარმოქმნა. მრავალი სართედი შეიქმნა ელემენტებით *info-* და *-tique*, მაგალითად: *infomédiaire* – ინფორმაციული შუამავალი, *infographie* – კომპიუტერული გრაფიკა, *télématique* – ტელემატიკა, *productique* – წარმოებადი, *bancatique* – ელექტრონული საბანკო მომსახურება, *monétique* – ელექტრონული ფული. ისეთმა აქტუალურმა პრობლემამ, როგორებიცაა გარემოს დაბინძურება და მისი დაცვის აუცილებლობა, შექმნა მრავალი ტელესკოპური ტერმინი, რომლებიც იწყება წაკვეთილი ელემენტებით *éco-* და *bio-*, მაგალითად: *écodéveloppement* – მდგრადი განვითარება, *écoconception* – ეკოდიზაინი, *écotaxe* – ეკოლოგიური გადასახადი, *l'écoblanchiment* – მწვანე პიარი (კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც გამოიყენება საექვო მწარმოებლების მიერ, რათა შეიქმნან ეკოლოგიურად ორიენტირებული კომპანიის იმიჯი); *biosystème* – ბიოსისტემა, *biotechnologie* – ბიოტექნოლოგია, *biodiversité* – ბიომრავალფეროვნება, *biodégradabilité* – ბიოგანლაგება, ბიოგანაწილება, *bioénergie* – ბიოენერგეტიკა, *biocarburant* – ბიოსათბობი, ბიოსაწვავი.

კომპანიათა განვითარების სტრატეგიული ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ტენდენციებით, როგორებიცაა: გლობალიზაცია, კაპიტალის კონცენტრაცია, კონკურენციის გაძლიერება, ასევე აისახება ახალ ტერმინოლოგიურ წარმონაქმნებში. ასე, მაგალითად, დივერსიფიცირებენ რა თავიანთ მოღვაწეობას, ბანკები გამოდიან დაზღვევის ბაზარზე და ჩნდება სართედი *bancassurance*, დაზღვევის კომპანიები იწყებენ საბანკო პროდუქტების გაყიდვას, მოღვაწეობის ასეთი სფერო იღებს სახელწოდებას *assurbanque* ან *assurfinance*. ნავთობის კომპანიები აფართოებენ თავი-

ანთ მოღვაწეობას გაზის მოპოვების ხარჯზე და წარმოიქმნება ტერმინი *compagnie pétrogazière*. ეკონომიკურ მოღვაწეობათა სხვადასხვა სფეროში, ციფრულ ტექნოლოგიათა შეღწევის კვალდაკვალ, ჩნდება ისეთი ახალი ტელესკოპური ტერმინები, როგორებიცაა: *fintech* (*finance + technologies*) და *assurtech* (*assurance + technologies*).

განვიხილოთ სართედთა სტრუქტურული და სემანტიკური თავისებურებანი. ამ ტერმინოლოგიურ ერთეულთა კორპუსის სისტემატიზება მოხდა მორფოლოგიური, ფონოლოგიური და სემანტიკური კრიტერიუმების საფუძველზე. სართედთა მორფოლოგიური შემადგენლობის კომბინატორულ თავისებურებათა გათვალისწინებით შემოთავაზებულ იყო ორი კლასიფიკაცია. პირველის ჩარჩოში, რომელშიც გათვალისწინებული იყო წაკვეთის ხარისხი, გამოიყო: ა). სრული სართედები, რომლებშიც ხდება ორი ამოსავალი ტერმინის ფუძეების წაკვეთა, მაგალითად: *la stagflation* (*stagnation + inflation*) – სტაგფლიაცია; ბ). არასრული სართედები, რომლებშიც, როგორც წესი, პირველი ერთეულის ფუძე იკვეცება, მაგალითად: *les pétrodollars* (*pétrole + dollars*) – ნეფტოდოლარები. ტერმინთა მეორე კლასიფიკაცია, რომელიც ეფუძნება ფრანგი ლინგვისტის, ა. კლასის მიერ შემუშავებულ სართედთა ტიპოლოგიას, აგებულია ამოსავალ ტერმინთა ფრაგმენტების ჩამოცილების ადგილის გათვალისწინებით, ანუ ფინალური (აპოკოპის) ან ინიციალური (აფერეზის) წაკვეთის გათვალისწინებით. ისინი წარმოდგენილია სართედთა შემდეგი სახეობებით: ა). აპოკოპა + აფერეზა: *le phygital* (*physique + digital*) – ტექნოლოგიათა ინტეგრაცია ონ- და ოფლაინ (ვაჭრობაში). ბ). აპოკოპა + მეორე ტერმინის სრული ფუძე: *le publipostage* (*publicité + postage*) – რეკლამის დაგზავნა ფოსტით, პირდაპირი საფოსტო რეკლამა; გ). აპოკოპა + აპოკოპა: *agritech* (*agriculture + technologie*) – აგრარული სტარტაპი.

ფონოლოგიური კრიტერიუმის შესაბამისად, შეიძლება გამოვყოთ საკვლევ ტერმინოლოგიურ ერთეულთა ორი ტიპი: ა). ბგერითი დანამატი: (*le marketing*) *glocal* (*global + local*) – გლოკალური (მარკეტინგი) (მიმართული ბიზნესის გლობალურ მიზანთა ადაპტაციაზე ადგილობრივ პირობებთან); ბ). ბგერითი დანამატის გარეშე: *la taxflation* (*taxation + inflation*) – გადასახადთა მომატება. სართედთა მორფოლოგიური შემადგენლობის შესწავლა აუცილებელია მათი სემანტიკური სტრუქტურის ანალიზისათვის. მოცემულ ტერმინთა სემანტიკური თავისებურებების შესახებ მრავალი ლინგვისტი აღნიშნავს, რომ სემანტიკური ურთიერთობები იმ სიტყვების კომპონენტებს

შორის, რომლების ნაწარმოებია ტელესკოპის საშუალებით, უფრო მეტად მარავალფეროვანია ვიდრე ორი ცნების მარტივი შეერთება. სართედთა დიდი ნაწილი, რომლებიც შექმნილია ელემენტებით *euro-*, *éco-*, *bio-*, სრული შემადგენლობით გადადის სხვა ენებზე თარგმანისას. სართედთა კალკირება შესაძლებელია გრამატიკული და ლექსიკური ტრანსფორმაციების გამოყენებით.

სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებათა წყალობით სართედები აღწევენ ლინგვისტიკურ ეკონომიას იმ ახალი, რთული ცნებებისა და მოვლენების გადმოცემისას, რომლებიც წარმოიქმნება საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ლიტერატურა

Clas 2017 – Clas A. Une matrice terminologique universelle, Paris.
<https://hal.archives-ouvertes.fr/hal>
<https://www.persee.fr/doc/>

Tsiuri Akhvlediani

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi
tsiuriakhvlediani@yahoo.com

Keywords: Telescopy, telescopic terms, word formation, typology of terms of typology, translation of terms of telescopy.

Telescopic Terms in the French Language

Summary

The paper is about researching telescopic terms. Telescopy is a model of the creation of a terminological unit. It differs from other similar processes of word formation, namely, from the processes of word creation and abbreviation. We will also introduce the reasons for creating telescopic terms. Special attention is paid to analyzing the

structural and semantic peculiarities of telescopic terms in the language. We are introducing their typology on the basis of the morphological, semantic and phonological criteria. The research revealed that the most frequently used types are built up according to the following model: the incomplete telescopic terms which occur through merging the syncope stem of the first term and the full stem of the second term. From their semantic perspective, the second element dominates. When delivering the content of the telescopic terms, what causes difficulty are the main instruments for translation, such as transcription and transliteration, language calques, adequate changes, and explanatory translation.

The significance of this research can be explained by the fact that telescopic words represent one of the most productive ways of enriching the terminology of the French language. Hence the necessity to systemize all the models of telescopic terms, to discuss their structural and semantic peculiarities and to offer the ways of their translation.